№ 148
სამშაბათი, 10 ივლისი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1901

ივერია

№ 148
სამშაბათი, 10 ივლისი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

მღვდელი ლუკა მათეს ძე, ქრისტინე დავითის ასული, ნატალია, ელენე, სერგეი, არკადი და ლუკა ბახტაძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 14 ივლისს, განსვენებულ

ილია ლუკას ძის ბახტაძის (ილია ხონელის)

გამოთხოვების დღეს, 10 საათზედ, ხონის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილი იქმნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. (3—ნ.—3)

კვირას, 8 ივლისს, ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ქრისტესია დიმიტრის ძე ხუცაიძე.

წირვა და ანდერძი გარდახდილ იქმნება სამშაბათს, 10 ივლისს, ანჩისხატის სობოროში, საიდგანაც მიცვალებულს წაასვენებენ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (1—154—1)

ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ **მოსწავლეების მიღება უმცროს განყოფილებაში** და მოსამზადებელ კლასის ახლად გახსნილ **საშუალო განყოფილებაში** დანიშნულია ამა 1901—1902 სამოსწავლო წლის 28 და 31 აგვისტოსათვის. უმცროს განყოფილებაში მიიღებიან ბავშვები 7-დგან 9 წლამდე **უეგზამენოდ**; საშუალოში—8-დგან 10 წლამდე **ეგზამენით.**

თხოვნები მიიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობითა და შაბათობით დილის 11-დგან ნაშუადღევის 1 საათამდე სასწავლებლის შენობაში. თხოვნას უნდა ახლდეს: ნამდვილი დაბადების მოწმობა, მოწმობა წოდებისა და ყვავილის აცრისა და აგრეთვე პირი ამ მოწმობებისა. თხოვნები, რომლებსაც უამ-მოწმობებოთ წარმოადგენენ, არ მიიღება. (6—ნ.—1)

სასოფლო წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სასწავლებლისათვის **საჭიროა კიდევ ორი მასწავლებელი.** მთხოვნელთ შეუძლიანთ მიმართონ ილია ივანეს ძეს წინამძღვარიშვილს, მის სანატარიალო კანტორაში. კანტორა იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, სახლში № 2. მასწავლებელს უნდა ჰქონდეს მოწმობა სამასწავლებლო ინსტიტუტისა, ანუ სემინარიისა. ჯამაგირი ექმნება თვეში ხუთი თუმანი, სახლი და შეშა.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ვ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

[illegible] ი. გედიაშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ფ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არგანიტაკი. 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოდ).

მიხეილ გედევანიშვილისა,

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა; სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ბ. ბ. მაღალაშვილი.—შინაგან სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მუღინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის 10—11 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

გ. დ. მარკოვი—საქირურგო—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

კვირაობით:

ბ. ბ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. კორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. (ნ.)

მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ: პორუჩიკობა: მე-14 საქართველოს გენერალ კოტლიარევსკის რაზმის პოდპორუჩიკს საგინაშვილს, დიდის მთავრის დიმიტრი კონსტანტინეს ძის მე-16 სამეგრელოს ჯარის პოდპორუჩიკს კონიაშვილს, დიდის მთავრის ალექსანდრე ალექსანდრეს ძის მე-77 ტენგინის რაზმის პოდპორუჩიკს ქობულაძეს, მე-78 ნავაგის რაზმის პოდპორუჩიკს აბრამიშვილს; კაპიტნობა:—დიდის მთავრის პავლე ალექსანდრეს ძის მე-79 კურინის რაზმის შტაბს-კაპიტანს ჩქოტუას; შტაბს-კაპიტნობა: კავკასიის 1-ლ არმიის კორპუსის ადიუტანტს პორუჩიკს თავ. ყარალაშვილს, დიდი მთავრის გიორგი მიხეილის ძის მე-81 აპშერონის რაზმის პორუჩიკს ქართველიშვილს, დიდის მთავრის ვლადიმერ ალექსანდრეს ძის მე-83 სამურის რაზმის პორუჩიკს თავ. ციციშვილს, მისის უდიდებულესობის მე-84 შირვანის რაზმის პორუჩიკს კაპანაძეს; პორუჩიკობა დიდის მთავრის სერგეი მიხეილის ძის მე-153 ბაქოს რაზმის პოდპორუჩიკს ზედგინიძეს; შტაბს-კაპიტნობა: მე-154 დარუბანდის რაზმის პორუჩიკთ ვაშაკიძეს, ჯაფარიძესა, მაჩაბელსა და ზალდასტანიშვილს, გენერლის თავ. ციციშვილის მე-156 განჯის რაზმის პორუჩიკს თავ. ხიმშიაშვილს; პორუჩიკობა პოდპორუჩიკებს: თუშმალიშვილს, თავაძეს, თავ. ჯანდიერს; კაპიტნობა შტაბს-კაპიტანს გვახარიას, შტაბს-კაპიტნობა პორუჩიკს გარდაფხაძეს, პორუჩიკობა პოდპორუჩიკებს: თავ. მაჩაბელს, ქაჯაიას, ბაზირ-ბეგ-ვეზირიშვილს; კაპიტნობა შტაბს-კაპიტანს თავ. თუმანიშვილს; პორუჩიკობა პოდპორუჩიკს გოთუას; კაპიტნობა გუმბრის სამხედრო საავადმყოფოს გამგეს შტაბს-კაპიტანს ჯავრიშვილს.

კიდევ დღიურს ვარამზე.

წინა წერილში ჩვენ დავუპირდაპირეთ ფაქტიურად სამრევლო სკოლების ძველი გეგმა, დამტკიცებული სინოდისაგან, და ახალი პროექტი, შემუშავებული ქართლ-კახეთის საეპარქიო საბჭოს მიერ. ახლა გვწადიან განვუმარტოთ მკითხველს, რამდენად შეუსაბამნი არიან ის ცვლილებანი, რომელნიც ახალს პროექტს შეაქვს ძველს გეგმაში.

უპირველესად ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ უწმიდესი სინოდი გეგმის შეცვლას როდი თხოულობდა; იგი ავალებდა საბჭოს საგნები გაენაწილებინა ოთხის წლის კურსის მიხედვით, ნაცვლად წინანდელის სამის წლისა. საბჭო კი ძირიანად სცვლის თვით გეგმასა. იგი ქალაქის ქართულ სკოლებში და იმ სასოფლო სკოლებში, სადაც ურევიან მცირეოდენი მოწაფენი, არა ქართულის ჩამომავლობისანი, თუნდა ისინი მარტო ქართულს ენას ლაპარაკობდნენ, უარჰყოფს სწავლებას ქართულს ენაზე, მუნჯურს მეთოდის საშუალებით სწადიან ასწავლონ პირველს წელიწადს რუსული ენა და მეორე წლიდგან მთელი სწავლება მოაწყოს ამავე ენაზე. ამისთანა სკოლებში თვით ქართული ენა, როგორც საგანი, სავალდებულო აღარ არის. პროექტში ნათქვამია: ქართულს ასწავლის მასწავლებელი, თუ ეს ენა მან იცისო. მაშასადამე ამისთანა სკოლებში მხოლოდ ბედნიერ შემთხვევას შეუძლიან ქართველსაც არგუნოს წილად მასწავლებლობა. სინოდის გეგმა კი ყველა ამ გვარს სკოლებს როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში რაცხდა ქართულ სკოლებად, ქართულს ენაზედ სწავლება, ქართული ენა, როგორც საგანი, სავალდებულონი იყვნენ და მხოლოდ ქართველს მასწავლებელს შეეძლო დაეჭირა აქ ადგილი.

დღესავით ცხადია, თუ რამდენად უკუღმართია ახალი პროექტის აზრი. მისი განხორციელება სწორედ ჯოჯოხეთად გახდის სკოლებსა. ბავშვების გონების დაბნევა და დახშობა იქნება ამისი პირდაპირი შედეგი. თვითონ სოფლებსაც არევ დარევს, განხეთქილებას დაბადებს. დღემდინ ქართველი გლეხობა ნაირსართა და სომეხთ ძმურად ეპყრობოდა და თავისიანებისაგან არ არჩევდა. მაგრამ ეს ძმური განწყობილება სრულიად ჩაიშლება და განხეთქილებად გადაიქცევა, თუ სოფელი ქართულ სოფლად აღარ იქმნება ცნობილი და მისი სკოლა ქართულს სკოლად, მხოლოდ იმის გამო, რომ ამ სოფელში სცხოვრობს რამდენიმე კომლი ნაოხარი ოსებისა, ან სომხებისა. მაშინ ქართველი გლეხები მეტ-ხორცად ჩასთვლიან ამ თავისს მეზობლებსა, ყოველ ღონისძიებას იხმარებენ, რომ იგინი განდევნონ სოფლიდგან, მათს შვილებს დაუშლიან სკოლაში შესვლასა, და დატრიალდება ერთი ვაი-უბედურობა. სხვაგან ყველგან სკოლა ჰბადებს და აძლიერებს კეთილ-გონიერებას და გულკეთილობას, ჩვენში კი იგი დასთესავს და აღორძინებს სიველურეს, სიბრაზეს და გულ-ბოროტებასა.—

ოფიციალური ცნობები ამ გვარის სკოლების რიცხვს საზღვრავენ ოც და თოთხმეტით (34); ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს რიცხვი შემცირებულია; ამისთანა სკოლები, სადაც ქართველობა შეადგენს დიდს უმრავლესობას, ბლომად უნდა იყვნენ მოქცეულნი იმ სკოლების კატეგორიაშიაც, სადაც რიცხვი ქართველის ბავშვებისა მცირეა სხვებზე. ასე რომ ქართული სამრევლო სკოლების რიცხვი ქართლ-კახეთის ეპარქიაში უნდა ადიოდეს ასამდინ.

ქალაქისა და სოფლის სკოლების შორის ახალი პროექტი დიდს საზღვარსა სდებს. მისი აზრით, სოფლისა და ქალაქის ბავშვები იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან რუსულის ენის შესახებ, რომ მეორეებს შეუძლიანთ პირველს წელიწადს მუნჯური მეთოდით ისწავლონ რუსული ენა და მეორე წლიდან ყველა საგნები ისმინონ ამ ენაზე. რაში მდგომარეობს ეს განსხვავება? მხოლოდ იმაში, რომ ქალაქის ბავშვებს ესმით ქუჩებში ასეთი დამახინჯებული, ფრაზები: хароши угли, кисли малако, іаблок хароши, халодни вода, და რამდენიმე რუსული გინება. სხვა ცოდნა რუსულის ენისა სრულიად არ მოიპოვება იმ დაბალის წოდების ბავშვებში, რომელნიც შედიან სამრევლო სკოლებში. მაგრამ განა ეს ცოდნაა? იგი ბევრად უარესია მტკნარს უცოდინარობაზე. ბავშვი, რომელსაც გონებაში გასჯდომია ხსენებული დამახინჯებული ფრაზები, უფრო ძნელად შეითვისებს ამავე ფრაზებს კანონიერი ფორმით, ვიდრე ის ბავშვი, რომელსაც გონებაში არც ერთი რუსული სიტყვა არ მოიძებნება. უკანასკნელს შემთხვევაში მასწავლე-

ბელი სწორე რუსულს ფრაზებს სწერს, ასე ვსთქვათ, სუფთა გონების ფიცარზე, პირველს შემთხვევაში კი ფიცარი დაბღაჯნილია უგვანო ფრაზებით,—ჯერ ეს უგვანობა უნდა წაშალოს და მერმე დასწეროს ჯეროვანი ფრაზები. ხოლო ბავშვის გონებიდგან ცრუ ცნობები ერთი ორად უფრო ძნელად იშლება, ვიდრე ფიცრიდგან. ეს ყველა მასწავლებელმა იცის. ცხადია, თუ რა შეუსაბამოს და უკუღმართს წესს უქადის ქალაქის სკოლებს პროექტი.—

ყველაზე საოცარია მუნჯური მეთოდის შემოღება სამრევლო სკოლებში. ეს მეთოდი ჯერ აღიარებული არ არის თვით განათლების სამინისტროსაგან. ამ სამინისტროს მიერ მოწონებული სახელმძღვანელოები სავალდებულოდ ჰხდიან მშობლიურის ენის შემწეობას რუსულის ენის სწავლებაში. მაგალითად, ვოლპერის სახელმძღვანელო, რომელიც სახელგაკეთებულია (рекомендована) სამინისტროსაგან, პირდაპირთხოულობს დედა-ენის მონაწილეობას და დამატებად დაბეჭდილი აქვს წიგნის ლექსიკონი ორს ადგილობრივს ენაზედ თარგმანითა. ყაზანის გუბერნიაში ეს მეთოდი სრულად უარ-ყოფილია იმისთანა გამოჩენილი პედაგოგებისაგან, რომელნიც არიან: ილმინსკი, ანასტასიევი, დირექტორი საოსტატო ინსტიტუტისა და ბობროვნიკოვი, დირექტორი საოსტატო სემინარიისა. მართალია, ოდესის სამოსწავლო ოლქში იხმარება ეს მეთოდი, მაგრამ საცდელად.

კავკასიაში მუნჯური მეთოდი მეფობს მხოლოდ ქუთაისის გუბერნიაში; მაგრამ აქაც ძლიერ ხშირად ხმარობენ თარგმანს, როგორც ეს შეამოწმა, სხვათა შორის, ოფიციალურმა გამოკვლევამ ბ-ნი ალექსი ჭიჭინაძისამა: ჩრდილოა კავკასიაში თარგმანს ჯეროვანი ადგილი უჭირავს, როგორც ეს სჩანს ადგილობრივ სამაგალითო გაკვეთილებიდგან, რომელნიც იბეჭდებიან ოფიციალურს გამოცემაში „Циркуляръ по управленію Кавказскимъ учебнымъ округомъ“. ამ ჟამად ბ-ნი ლევიცკი ცდილობს განჯის გუბერნიაც გააბედნიეროს თავისი სახელოვანი Курсъ-ით; მაგრამ ჯერ კოჭი ალჩუდ არ უჯდება. ერევნის და ბაქოს გუბერნიები და ყარსის ოლქი თავისუფალნი არიან ამ სამასხარაო მეთოდისაგან, ღვთის მადლითა.

რაც შეეხება სასულიერო სფერას, აქ მუნჯური მეთოდის შემოღება ყოვლად შეუძლებელია. მოციქულებიდგან დაწყობილი მართლ-მადიდებელი ეკკლესია ყოველთვის ხმარობდა დედა-ენას, როგორც საუკეთესო ღონისძიებას, ქრისტიანულის სწავლის გავრცელებისათვის. უწმინდესის სინოდის მოქმედებანი წარსულში და აწმყოსი სრულად ეწინააღმდეგებიან ამ მთელს ტენდენციასა. ვისაც წაუკითხავს მიწერ-მოწერა სინოდის ობერ-პროკურორის ბატონი პობედონოსცევისა და ილმინსკისა, რომელიც მთელს სწავლებას ამყარებდა დედა-ენის შემწეობაზე, იმან კარგად იცის, რომ ეს ფრიად გავლენიანი გვამი, ბ-ნი პობედონოსცევი, სრულად თანაუგრძნობს ილმინსკის სისტემასა, რომელიც უარ-ჰყოფს მუნჯურს მეთოდსა.

საკვირველიც არ არის. მუნჯური მეთოდით შეიძლება ბავშვმა შეისწავლოს მხოლოდ ხილული, ხორციელი, ნივთიერი მხარე ენისა და ისიც დიდი ვაი-ვაგლახით; მაგრამ იგი სრულად უძლურია გააცნოს მოწაფეებს უხილავი, სულიერი და ღვთაებრივი მხარე მეტყველებისა—ხოლო ეს უკანასკნელი მხარე უმთავრესია სამრევლო სკოლებში. ეს მეთოდი უსათუოდ გაამეფებს სკოლებში მხოლოდ წარმართულს მატერიალიზმსა და მთლად განსდევნის ქრისტიანულს იდეალიზმსა. ამიტომ მისი შემოღება სამრევლო სკოლებში ისეთივე შეუძლებელია, როგორც ეშმაკის შესვლა სამოთხეში.

(დასასრული იქნება)

ახალი ამბავი

⁂ 4 ივლისს უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა გზათა მინისტრის წარდგენილება, რომლითაც ქიათურის შტოს სადგურ დარკვეთიდგან საჩხერემდე გასაყვანად საჭირო მიწა იქმნა დათმობილი.

⁂ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს ქალაქის გამგეობის წინაშე ტფილისის საბაღოსნო სკოლისათვის შემწეობის აღმოჩენის შესახებ.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა აცნობა ქალაქისა, მაზრისა და სოფლის მკურნალებს, რომ მომავალ სექტემბერს ტფილისში მკურნალთა კრება მოხდება, რომელსაც შეუძლიანთ მათ თავიანთი შრომანი წარუდგინონ. ვისაც ამ კრებაზედ დასწრება ჰსურს, დროებით განთავისუფლებული იქმნება სამსახურიდგან.

⁂ მიწად-მოქმედების სამინისტროს გაუგზავნია თელავში ტყის დამცველთა კორპუსის ვიცე-ინსპექტორი ს. ი. რაუნერი იმ ხევების გასამაგრებლად, რომელნიც წყალდიდობის დროს ნათესობას აფუჭებენ. ბ-ნ რაუნერს დაუთვალიერებია მდინარენი: თურდო, კისის-ხევი, დურუჯი და სხვა. ბ-ნ რაუნერის აზრით, საჭიროა გაითხაროს $1^{1}/_{4}$ ადლიანი არხები. აზრადა აქვთ ამისთანა არხების გაყვანას მომავალ წელს შეუდგნენ. („ახ. მიმ.“).

⁂ თელავის ქალაქის გამგეობას დაუდგენია იშუამდგომლოს თელავში უფასო ამბულატორიის დაარსებისა და ამ საქმისათვის 630 მანეთის გადადების შესახებ. („ახ. მ.“).

⁂ ქალაქის გამგეობაში 7 ივლისს დანიშნული იყო საჯარო ვაჭრობა ქალაქის საყასბოს გასაფართოვებლად სამუშაოს გასაცემად. ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღო სულ ოთხმა კაცმა, რომელთაგან სამუშაო დიმიტრი ჩიქავაძეს დარჩა 7,879 მანეთში.

⁂ 11 ივლისს ქალაქის გამგეობის დარბაზში ქალაქის საბჭოს კომისიას სხდომა ექნება, რომელზედაც განიხილავენ, ხორცსა და პურზედ როგორი ნიხრი შემოიღონ.

⁂ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ გამოუგზავნა კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას ხალხში გასავრცელებლად ცნობები იმის შესახებ, რომ მომავალს 1902 წელს მოხდება კონკურსი იმპერატორის ალექსანდრე მე-III სახელობის პრემიისა (300 მან.). პრემია დანიშნულია იმათთვის, ვინც საუკეთესო სასმელ ღვინოებს აყენებს; კონკურსის დროს მეტი ყურადღება ექნება მიქცეული, სხვათა შორის, კახეთის საფერავისა და რქა-წითელის ღვინოს და საზოგადოდ კავკასიის თავ-კვერის ღვინოებს. ვისაც უნდა კონკურსში მონაწილეობა მიიღოს, განცხადება მიწათ-მოქმედების დეპარტამენტში უნდა გაგზავნოს 1902 წლის 1 თებერვლამდე და რჩევას, თუ როგორ უნდა წარადგინოს კონკურსზედ ღვინის ჭაშნიკები, განცხადების წარდგენისთანავე მიიღებს სამინისტროსაგან.

⁂ რადგანაც კონსტანტინეპოლი შავის ჭირის მხრივ საშიშრად იქმნა ცნობილი, საზღვარ-გარეთიდგან შავს ზღვაში შემოსულს ხომალდებს ფეოდოსიაში აჩერებენ საკარანტინოდ რამდენსამე დღეს. („ცნ. ფურც.“).

⁂ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის გამგეობას ბრძანება მიუღია, რომ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთ დაუყოვნებლივ დაუბრუნოს საპენსიო კასის დასასარგებლად ჯამაგირიდგან 6%-ით გამოქვითული ფული და 1 ივლისიდგან სულ შესწყვიტოს ესრეთი გამოქვითვა. ეს ფული უკვე დაურიგდათ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელეთ პარასკევს, 6 ივლისს.

⁂ ტფილისის ქალაქის მოურავის შუამდგომლობის თანახმად, კავკასიის მთავარ-მართებელს ნება დაურთავს ქალაქის საბჭოს მდივნის ს. სათვის, რომ მთავარ- ლარიის არხივიდგან ამოსწეროს საჭირ ცნობები ძველ საუკუნის ქალაქის თვით-მმართველობის ისტორიის შესადგენა („ახ. მიმ.“).

⁂ რედაქციამ მიიღო ჟურნა „მოამბის“ მე-VI ნომერი, შინაარს ამ ნომრისა: 1, საბრალონი, რომანი ვიქტორ ჰიუგოსი, თარგმანი ივ. მაჭავარიანისა; 2, სიმღერა, ლექსი განდეგილისა; 3, მარიამ შოტლანდელი, დრამა ბიორნსტერნე ბიორნსონისა, თარგმანი (დასასრული); 4, ორი მეგობრობა, თარგმანი კიტა აბაშიძისა; 5, ვეფხის ტყაოსნის ყალბი ადგილები, ა- ს—შვილისა; 6, დიდი ხელთ-ნაწერი, მ. ჯანაშვილისა; 7, ძველი თაობა, არჩილ ჯორჯაძისა; 8, უცხოეთის მიმოხილვა.

⁂ სადგ. გომი. 7 ივლისს, გო- რის მაზრის მემამულეთა სინდიკატის შენობაში, კნ. მ. ამირეჯიბის თაოსნობითა და მეცადინეობით, გამართულ იქმნა საქველ-მოქმედო წარმოდგენა. მა- ტიკეცმულ კნეინას შრომა და მეცადინეობა არ დაუზოგავს, რომ წარმოდგენა ახლო-მახლო სოფლებში საზაფხულოდ მყოფთათვის საინტერესო ყოფილიყო. ხალხი დიდ-ძალი მიაწყდა წარმოდგენას. მახლობელ სოფლებიდგან სადამო ხანზედ ზოგი ეტლით მოდიოდა, ზოგი რკინის გზით. ბევრი ქალაქიდგანაც-კი ამოვიდა ამ წარმოდგენისათვის. წარმოადგინეს „ადვოკატი მ- ლაძე“ და „დატრიალდა ჯარა“. მონაწილეობდნენ ჩვენის თეატრის მსახიობნი ქ-ნი ჩერქეზიშვილისა და ბ-ნი კ. ყიფიანი და სცენის მოყვარენი. მოთამაშეთ ორივე პიესა საზოგადოდ კარგად ჩაატარეს. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა მხიარული ცეკვა-თამაში. სინდიკატის დიდი დარ- ბაზი ვერც-კი იტევდა ყველა მოცეკვა- ვეთ. ცეკვა-თამაში არ შეწყვეტილა გა- შმის შემდეგაც, რომელსაც 160-ზე მეტი სული დაესწრო. დაიშალა ხალხი მხოლოდ დილის 7—8 საათზე, მე- ტად კმაყოფილი მხიარულის დროს გა-

ფელეტონი

ბიბლიოგრაფია

Gottfried Merzbacher: Aus den Hochregionen des Kaukasus. Wanderungen, Erlebnisse, Beobachtungen. Leipzig 1901. 2 Bde. (გოტფრიდ მერცბახერი: კავკასიის მაღლობებიდგან. მოგზაურობა, თავს-გარდასავალი და დაკვირვებანი. ლეიპციგი 1901 წ. 2 ტომი). XXXVII + 957 გვ. და VI + 963 გვ.

დასასრული. *)

ჩვენის აზრით უსამართლოდ მერცბახერი ქართველების გონებრივ ავლა-დიდების დაფასებაშიაც. იგი სწერს: „გონებრივ ნიჭის მხრივ ქართველები მაინცა და მაინც ნიჭიერ ხალხად ვერ ჩაითვლებიან; საზოგადოდ, გონებრივ კულტურის ნიადაგზედ მათ არას დროს, მათის უუდიდეს პოლიტიკურ ძლიერების დროსაც-კი, შესანიშნავი არა შეუქმნიათ-რა. მხოლოდ პოეზიაში-კი იჩენენ ქართველები, როგორც წინად, ისე ახლაც, ნიჭს,—ამის უარის ყოფა შეუძლებელია. მათი უუშესანიშნავესი ნაწარმოები ამ მხრივ შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანია“, რომელიც მე-12 საუკუნეში წარმომდგარა თამარ დედოფლის დროს. პოემა თავისის გრძნობიერ სურათებითა და მდიდარ და ღრმა აზრებით სავსე ლექსებით მეტად საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს მაშინდელ დროის შეხედულებათა და ჩვეულებათას. მოთხრობის გამოგონება და განვითარება პოემაში გვიმტკიცებს ავტორის არა ჩვეულებრივს პოეტურს ნიჭს. სამწუხაროდ ამ პოემის სრული გერმანული თარგმანი ლექსად არ არსებობს... არტურ ლეისტს თავისს პატარა წიგნში: Georgien. Natur, Sitten und Bewohner, აქვს გარდმოცემული მოკლედ მისი შინაარსი პროზითა და ზოგიერთი ადგილები ლამაზ მეტრიულ ლექსებითაც. აგრეთვე თანამედროვე ქართველი პოეტებიც იჩენენ აზრთა იდეალურს აღმაფრენასა და ფორმის სავსებით ცოდნას. ზემო ხსენებულის ავტორის წყალობით ჩვენ გვაქვს მშვენიერი თარგმანი ქართველ პოეტთა რჩეულ ლექსებისა“.

მერცბახერმა არ იცის, როგორც ეტყობა, რომ „ვეფხის ტყაოსანი“ სრულიად არის თარგმნილი გერმანულს ენაზედ. იგი თარგმნილია ბატონ ლეისტის მიერ და დაბეჭდილი ლეიპციგში 1890 წელს. მაგრამ ეს მხოლოდ—nebenbéi, გაკვრით, რადგან წვრილმანია. ჩვენ გვინდა აქ მკითხველის ყურადღება მერცბახერის მიერ ქართულ კულტურის დაფასებას მივაქციოთ.

შესანიშნავი არა შეუქმნიათ-რაო, მართალს ამბობს მერცბახერი. თოფის წამალი არ გამოგვიგონია, ამერიკა არ აღმოგვიჩენია, მეცნიერებანი არ შეგვიქმნია. მაგრამ საკითხი ისაა, ამ ჩვენისთანა პირობებში მყოფს და ჩვენსავით პატარა ერს მოეთხოვება თუ არა? პირველი მოთხოვნილება ისტორიულ მეთოდისა იმაში მდგომარეობს, რომ ისტორიაში კერძო კაცთა თუ მთელ ერთა მნიშვნელობა არსებულ პირობათა და გარემოებათა მიხედვით აიწონ-დაიწონოს და დაფასდეს. ასეთი საზომით რომ გაეზომა მერცბახერს ქართველების კულტურა, მაშინ სულ სხვა დასკვნამდე მივიდოდა. ქართველები ერთად-ერთს ხალხს წარმოადგენენ კავკასიის სხვა ძირითად ხალხებს შორის, რომელმაც საკუთარი ლიტერატურა განავითარა და ხელოვნებაშიაც—თუნდაც ნასესხებში—თავისებური ხასიათი და ელფერი შეიტანა; საუკუნეების განმავლობაში ბარბაროსებს ებრძოლა და, მიუხედავად ამისა, თავისი ენა, ზნე-ხასიათი შეირჩინა და გონების კულტურითაც—თუმცა ნელის ნაბიჯით—წინ წავიდა,—უკან არ დაუხევია და არ გაბარბაროსებულა. და ეს დიაღაც დიდი და მნიშვნელოვანი საქმე გახლავთ ჩვენსავით ერთი მუჭა ხალხის მხრივ. სხვა, დღეს მოწინავე, ერიც რომ ჩვენისთანა პირობებში ყოფილიყო, ვინ იცის, იქნება ჩვენი ნიჭი და სიმტკიცე ვერ გამოეჩინა. მართალია, ქართველებს გერმანელების მიერ შექმნილის მსგავსი არა გაუკეთებიათ-რა, მაგრამ გერმანიასა და საქართველოს შუა ცოტა დიდი განსხვავება გახლავთ და ამიტომაც ეს ქართველების უნიჭობას კიდევ არ მოასწავებს. ამისი თქმა მხოლოდ სრულს უმეთოდობას ნიშნავს ისტორიულ მოვლენათა გარკვევაში და ისტორიულად მომქმედ ხალხის დაფასებაში.

გადაჭარბებულად უნდა ჩაითვალოს მერცბახერის მსჯავრი კერძოდ მეგრელების შესახებაც: „მეგრელები მეტად პრიმიტიულად სცხოვრობენ, სულ მთლად გაველურებულს მიდამოში, რომელიც მცირედის გარჯით სამოთხედ გარდაიქცეოდა, და არ იციან მათ საუნჯის აღება, რისთვისაც მხოლოდ წელში მოხრაა საჭირო... რის მოყვანა არ შეიძლებოდა აქაურ მიწაზედ, ამ ღალოცვილს ჰავა ბეჯითობითა და გონების გამჭრი ხობით! მაგრამ ზანტმა, უეიცმა, ფე- ოდალურის მონობითა და მასთან შეკავშირებულ ქონებისა და სიცოცხლის უზრუნველ არ ყოფნის გამ განვითარებაში უკან ჩამორჩენილმა მეგრელმა მისით სარგებლობა არ იცის. მისი მოთხოვნილებები მცი- რეა და მდიდარი ბუნება უშრომლა აძლევს მას, რაც-კი აუცილებლ ესაჭიროება. რისთვის უნდა იშ- შრომს მან, ან ვინ ასწავლის შრო- მას? პრიმიტიულისა და დაძველებუ- ლის სამუშაო იარაღებით ხნის-ქნის იგი მიწასა და კონსერვატორია ყო- ველგვარს მუშაობაში.. რადგანაც მეგრელებს მიწის საძნელო მუშაო- ბისათვის სურვილი არა აქვთ, ამი- ტომ იგინი მეკურტნეებად და დღი- ურ მუშებათ მიდიან ქალაქებში. ტფილისში მეკურტნეთა და წყლ მზიდველთა უმრავლესობა მეგრელ- ბი არიან. მათ იქ ძლიერ აფასებ გულკეთილობისა და ღონისათვის —ისინი უშველებელ ტვირთს ზუ- რგით ატარებენ, დაგლეჯილები დ იარებიან და საშინლად ჭუჭყიანებ არიან“...

მერცბახერს რაჭველი მეკურტნ ები მეგრელები ჰგონია. იგი

---

*) იხ. „ივერია“, № 147.

ტარებით. განსაკუთრებით ახალგაზრდობა იყო კმაყოფილი. დიდის მადლობის ღირსია კნ. ამირეჯიბი ამ წარმოდგენის გამართვისათვის. წარმოდგენისა და ცეკვა-თამაშის დროს უკრავდა გორიდგან მოწვეული სამხედრო მუსიკა.

* * 7 ივლისს, ღამით, პოლიციის მე-7 ნაწილში, ქუჩაში მიდენილა ტფილისის მცხოვრები გრიგოლ სუკიანინი თავისის შვილით ივანეთი. ამ დროს უცბათ ვიღაცას გაღებულ ფანჯრიდგან რევოლვერი უსროლია და ტყვია ივანეს თავში მოჰხვედრია; დაშავებული მაშინვე მიხეილის სამკურნალოში იქნა გაგზავნილი შემწეობის აღმოსაჩენად; ეჭვი ვითომ განზრახ ბოროტების ჩადენისა ტფილისის მცხოვრებ დიმიტრი შავერდაშვილზედ განაცხადეს; საქმის ვითარების გამოსარკვევად გამოძიება დანიშნული.

* * ჩაქვის მოაგარაკეთა მიმოსვლის გასაადვილებლად მე-84 ვერსზედ დაარსებულ იქმნა ახალი ბაქანი „ბუკნარი“, სადაც მატარებელი ერთის წუთით შეჩერდება.

* * ტფილისის პოლიცმეისტერმა მისწერა ქალაქის გამგეობას, რომ ცეცხლის მქრობელ რაზმის შენობა ძალიან დაძველდა და საჭიროა მისი ეხლავე შეკეთებაო.

* * ტფილისის სავაჭრო-სამანუფაქტურო კომიტეტი გადავიდა ლერმონტოვის ქუჩაზედ, ფრიდონოვის სახლში.

* * სოფ. ქვიშხეთი. კვირას, 8 ივლისს, ჩვენ სოფელში საბავშვო წარმოდგენა გაიმართა. ამ წარმოდგენაში ერთის ვაჟის გარდა 12—14 წლის ქალები იღებდნენ მონაწილეობას. წარმოდგენას სოფლელნიც დაესწრნენ, წარმოადგინეს ორ მოქმედებიანი ვოდევილი „ადვოკატი მელაძე“. ბავშვებმა შედარებით კარგად ჩაატარეს თავიანთი როლები.

კავკასიის მომავალი გამოფენა

ქალაქის გამგეობამ დაავალა ქალაქის პირველ დაწყებით სკოლების გამგეთ, დააწყონ თავიანთი ექსპონატები ქალაქის პავილიონში.

ქუთაისის საცდელ მინდვრიდგან კავკასიის მომავალ გამოფენაზედ შემდეგი ექსპონატები იქმნება წარმოდგენილი: მცენარეთა ფოტოგრაფიული სურათები, პური, სიმინდი, ღომი, ბამბა, ბოსტნეულობა და სხვ. ართვინის სანერგეყგან წარდგენილი იქმნება ზეთის ხილი და ხილეულობა.

კავკასიის მომავალ გამოფენაზედ თერგის ოლქის წარმომადგენლად დანიშნულ იქმნა ა. ვ. სარაჯიშვილი.

გამოფენაში მონაწილეობის მიღების სურვილი განაცხადეს კიდევ: ზემო ჰალის ორ კლასიან სასწავლებელმა (მოწაფეთა სხვა-და-სხვა ხელსაქნარნი), ტფილისის ვაჭარმა ზოლოტოგორცსმა (ბამბა და ბეწვეულობა), მეაფთიაქემ ბოოსმა (ხილის ხელოვნური წყლები) და სხვათა.

თერგის ნავთის მწარმოებელთა კრების საბჭო წარმოადგენს გამოფენაზედ საბჭოს სალიტერატურო-სასტატისტიკო გამოცემებსა და სხვა-და-სხვა სამრეწველო და საქარხნო ნაწარმოებთ.

როგორც აღნიშნული გვქონდა, კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის გამგე-კომიტეტმა ამიერკავკასიის გუბერნატორებს თხოვნით მიჰმართა, რომ დახმარება გაეწიათ და ადგილობრივ მცხოვრებნი სხვა-და სხვა ერის ტიპიური წარმომადგენელნი ეროვნულს ტანისამოსში გამოწყობილნი გამოეგზავნათ გამოფენაზედ. განჯის გუბერნატორი ატყობინებს ამის გამო გამოფენის კომისარს, რომ ასეთი წარმომადგენლები, მცოდნენი სახალხო სიმღერებისა, იქნებიან გამოგზავნილნი, მხოლოდ რადგანაც ამათ გამოსაგზავნად საჭირო ფული არ გვექნება, კარგი იქმნება კომიტეტმა 500 მ. გამოგვიგზავნოსო.

ექსპონატების გამოგზავნით გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად, სხვათა შორის, გამოფენის კომიტეტს მოუვიდა განცხადება შემდეგ კაცთაგან: ახალქალაქის სამრევლო სკოლის ზედამხედველისაგან, ზუგდიდის საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორისაგან, ზაქათალის ქალაქის სასწავლებლის მართველისაგან, თავ. ერმილე ნაკაშიძისაგან, ლეჩხუმის პირველ დაწყებით სასწავლებლისაგან და სხვ.

დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის კავკასიის მამულის რწმუნებული სთხოვს კავკასიის გამოფენის კომისარს თავ. ანდრონიკაშვილს, რომ აღნიშნულ მამულიდგან სხვა-და-სხვა სამეურნეო ნაწარმოებთა გამოსაფენათ ადგილი დაეთმოს გამოფენის სამს განყოფილებაში: პირველს, მეორესა და მეცამეტეში.

ზუგდიდის 6 კლასიან საქალაქო სკოლის ინსპექტორი სწერს გამოფენის კომისარს, რომ აღნიშნულ სკოლის სანერგედგან მინდა გამოფენაზედ ნედლი ნერგები გამოვგზავნო ექსპონატებათ, ხოლო რადგანაც ქუთაისის გუბერნია ფილოქსერის მხრივ საშიშოა, შემატყობინეთ, ვისგან ავიღო მოწმობა, რომ ეს ნერგები გამოფენისათვის მიიღოთო.

დამატებითი კორესპონდენცია ახალციხიდგან

ოთხს მკათათვეს მოსულმა საშინელმა სეტყვამ, ქ. ახალციხის გარდა, მთლად გაანადგურა ჭინისხევი, ბოსტნეულობა და ხეხილი ახალციხის პირად მდებარე შემდეგს სოფლებში: 1) სადზელში, სადაც 22 კომლია, (ქართულად ამ სოფელს სასძლო ჰქვიან); 2) სუფლისში, 83 კომლია (ქართულად ეწოდება სხვილისი, ანუ სხვილისი); 3) ჯალაში, 7 კომლია და 4) ჩეჩერეკში, 10 კომლია (ქართულად ამ სოფელს ჭაჭარაქი ჰქვიან). ქართულის სახელწოდებით ეს სოფლები მოხსენებულია ბატონიშვილის რუკაზედ ისე, როგორც ეხლაც ეძახიან ქართველები. ჩამოთვლილს სოფლებში ბინადრობენ არზრუმიდგან მოსული სომხები და შიგ თითო-ოროლა გამაჰმადიანებული ქართველიც ურევია, რომელთაც ქართულისა აღარა იციან-რა და არცა აქვთ სურვილი შეისწავლონ.

ამ რიგად სოფლელნი ყოვლად უმწეოდ დარჩნენ და როგორ გაატანენ თავსა, ღმერთმა უწყის. ხეხილის ბაღ-ვენახები ისე გაფუჭდა, რომ ორ-სამს წელიწადს აღარ გამოდგებიან. ნორჩი ხეები სულ შუაზე დახეთქა და გაამშრო, ტოტები ჩაამსხვრია და თვით ტანი დაუბეგვა. სეტყვა სიდიდით, თითო-ოროლა, რასაკვირველია, სჭარბობდა ქათმის კვერცხსა, ზოგი-კი მუშტისოდენაც იყო. დადუშულა აგრეთვე საქონელი.

ვარძიის მონასტრის ქართველს ბერებს დაუღუპათ აბასთუმნიდგან მომავალი ფურგუნი და შიგ შებმული ოთხი ცხენი. შიგ მსხდომნი გადარჩნენ. ესდა აკლდა საცოდავს, ოდესმე დიდებულსა და დღეს გადარიბებულ-გადატაკებულს მონასტერს!..

არავინ

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

დ. ახალ-სენაკის ბაზრობა. როგორც „ივერიაშიაც“ იყო მოხსენებული, მთავრობის ნებართვით 22 ივნისიდგან ახალ-სენაკში შვიდის დღის ბაზრობა გაიხსნა. ხალხი ნელ-ნელა იყრიდა თავს სამეგრელოს სხვა-და-სხვა დაბა-სოფლებიდგან. ადგილობრივი ნაწარმოები არავითარი არ იყო საბაზროდ მოტანილი. ხალხი მხოლოდ დროს გასატარებლად იყო მოსული. სულ 15—20 კარავი იყო გამართული, რომელშიაც მეწვრილმანე მოვაჭრეები უნდა ყოფილიყვნენ, როგორც ეს სხვაგანაც იციან ხოლმე, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ნაცვლად ამისა ლუდ-ლიმონათისა და ღვინით ვაჭრობა ძლიერ გაჩაღდა. დაფა-ზურნა, არღანი და სხვა-და-სხვა საკრავები თითო კარავზედ ორი და სამი მღეროდა. ხალხი იმდენად გაიტაცა საკრავებმა და გადაჭარბებულმა სმამ, რომ თვისს ქონებას აღარა ჰზოგავდა და, როგორც მოხვდებოდა, ჰფლანგავდა, საკრავებით დროს ატარებდა. ერთი სიტყვით, წრევანდელი ახალ-სენაკის „ბაზრობა“ ბაზრობა-კი არა, უფრო ჯვარობა და დღეობა იყო, რომელსაც აურაცხელი ხალხი დაესწრო.

29 ივნისს, პეტრე-პავლობა დღეს, აქ მარულა (დოღი) გაიმართა. 12—13 ვერსის მანძილზედ პირველი ჯილდო (50 მან.) თავ. ბარდა მხეიძის ცხენმა მიიღო, მეორე—აზნ. ზახვალა როსტომის ძის ლიფონავას ცხენმა—30 მან., მესამე—დოდუას ცხენმა—20 მან. თვით პეტრე-პავლობა დღეს მთელი დაბა მოსული ხალხით იყო გაჭედილი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, მრავალი იყო. ბაზრობამ მშვიდობიანად ჩაიარა, არავითარი ჩხუბი და აყალ-მაყალი არ მომხდარა. სამს ოთხს დღეს ერთთავად ფოთიდგან მოწვეული მუსიკა უკრავდა. ამბობენ, მომავალს წელს უკეთესი ბაზრობა იქმნება და ადგილობრივს ნაწარმოებსაც გამოამზეურებენო. ღმერთმან ქმნას, მაგრამ წრეულს რადამ დაუშალა ნეტავ? იქნება წრეულს მომაგრება ეჭორებოდათ და ამიტომ „ჭუჭ-მუცლიანობის ბაზრობა“ გამართეს... ბაზრობამ სანაქებო დარებით გაიარა და 1 ივლისს გათავდა.

ტ. კალანდარიშვილი

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

7 ივლისი.

ნოვო-ჩერკასკი. ოლქის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა სხდომაზედ, რომელიც დონის ყაზახთა „ნაკაზნოი ატამანის“ გენერალ-ლეიტენანტის მაქსიმოვიჩის თავმჯდომარეობით მოხდა, სცნეს, რომ დონის ოლქის მოსახლეობას, პურის მოუსავლობისა გამო, ფულის სესხად მიცემა დასჭირდება.

კაპშტადტი. აქაური გაზეთები განუწყვეტლივ სჩივიან, რომ კაპშტადტში ბოროტ-მოქმედება და ძალ-მომრეობა გახშირდა და პოლიცია შესაფერისს ღონისძიებას ვერა ხმარობს. ბოროტ-მოქმედთა რიცხვს მრავალი საეჭვო კაცი ემატება, რომლებიც კაპშტადტში ქვეყნიერების ყოველი კუთხიდგან მოდიან.

ლონდონი. კაპის ახალშენიდგან, მიდლბურგიდან, იუწყებიან, რომ კიტჩენერმა 34 ტყვე ბურს, რომლებსაც სიკვდილით დასჯა ჰქონდათ გარდაწყვეტილი, აპატივა და სიკვდილით დასჯის მაგივრად სამუდამოდ კატორღაში გაჰგზავნა ბემუდის კუნძულებზედ.

რაჭაში წასულიყო, გაიგებდა, რომ იქ მიწა ძალიან ძვირია და ამიტომ რაჭველები ქალაქებში წასვლას იძულებულნი არიან. გერმანიაშიაც ასე შვრება უმამულო ხალხი,—სოფლებიდგან ქალაქებში მიდის და იქ ეძებს სამუშაოს. რაც შეეხება დაფლეთილობასა და სიღარიბეს, ნეტა გერმანიას-კი, მდიდარს, განათლებულსა და ბრწყინვალე გერმანიას, ცოტა ჰყავს ასეთი ღატაკი და ძონძებში გამოხვეული ხალხი?

მერცბახერს სამეგრელოში ფეხი არ დაუდგამს და, მაშასადამე, არც იქაური ხალხი და ცხოვრება დაუთვალიერებია. რომ დაეთვალიერებინა, ნახავდა, რომ მეგრელი არც ისრე ზარმაცი და მოთხოვნილებებს მოკლებულია, როგორც მას ჰგონია. მეგრელი და სხვა ქართველიც შრომით-კი შრომობს, მაგრამ—უსისტემოდ და დაულაგებლად. ცოდნა არაა და ამ მუხლში ჩვენი ევროპიელ სტუმრის შენიშვნა, ეჭვი არ არის, მართალია.

ადვილი გასაგებია, რომ გერმანელს, რომლის სამშობლოშიაც გლეხი ერთ მტკაველს მიწასაც არ დასტოვებს უსარგებლოდ, ქართველის სიღარიბე მეტად უხვს და მრწყინვალე ბუნებაში ეუცხოვებოდა. საცა-კი გაივლის მერცბახერი, ყველგან ღტაცებულია ბუნების სიმშვენიერითა და სიუხვით და იმავე დროს ხალხის სიღატაკით გაკვირვებული. საფუძვლიანადაც, მაგრამ შემცდარია, თუ ჰგონია, რომ ამ სიღარიბის მთავარი მიზეზი სიზარმაცეა.

ხან-და-ხან ბ-ნს მერცბახერს ისეთი რამეც აკვირვებს, რაც სრულიად გასაკვირი არ არის. მაგალითად, სვანეთში გლეხებს 9 ცხენი მოაყვანინა მთებიდგან, 30 ვერსის მანძილიდგან. 3 დღის მანძილზედ თვითო ცხენში გლეხები 7 მანეთს სთხოვენ და ჩვენს მოგზაურს ეს საშინლად ეძვირება. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ცხენების მოძებნას 2 დღე დასჭირდა, გზაშიაც ცხენებს იქითობა-აქეთობაზე 5—6 დღე მოუგვიანდებათ, მაშინ ცხენზედ 7 მან. ძალიან დიდ ქირად არ უნდა ჩაითვალოს. ევროპაში მოგზაურს ორს ამდენს მაინც მოსთხოვდნენ ცხენების პატრონები. დაკვეთისამებრ მერცბახერს 9 ცხენი მოუყვანეს გლეხებმა; მაგრამ მას მხოლოდ რვა დასჭირდა,—მეცხრე ცხენი ზედ-მეტი გამოდგა. ქირას-კი ამის პატრონიც სთხოვს, და ესეც საშინლად აკვირვებს ჩვენს გერმანელს. ავიწყდება, რომ 30 ვერსის მანძილზედ ცხენის მოწაჰვას, დაჭერასა და მოყვანას შრომა და დრო მოუნდებოდა. ნეტა, რას ეტყოდა მას ასეთს შემთხვევაში მისივე თანამემამულე გერმანელი გლეხი,—ქირას არ მოსთხოვდა და ცარიელ-ტარიელი გაბრუნდებოდა?—ა კიდევ შემდეგი მაგალითი: მერცბახერს ტფილისში ლავაში უნახავს და დიდის ჰუმორით მოუთხრობს გერმანელს მკითხველს, რომ შიგ შემწვარს ხორცს გაახვევენ და ამნაირად სალფეტკადაცა ხმარობენ, თეფშათაცა და პურათაცაო. ასეთი რამე გერმანელს სწორედ არ უნდა გაჰკვირვებოდა. ნუ თუ ის უფრო ლამაზი ჭამაა, რომ გერმანიაში ორად გაჭრილს პურში ცხელს წვნიანს ძეხვს შესდებენ და ქუჩებ ბაღებში შეექცევიან. ამ ნაირად ჭამას გერმანიაში არავინ არ თაკილობს,—არც მამა-კაცი და არც დედა-კაცი. ხშირად ჰნახავთ დღეობაში, ბაზრობაში და ისაც ქუჩებ-ბაღებში, რომ ლამაზად გამოწყობილს ქალებს ხელში ცხელი გრძელი ძეხვი უჭირავთ, რომლის წვენიც ხშირად მკლავში ჩასდით და გემრიელად შეექცევიან. ასე ულამაზოდ ჭამას ჩვენში ქალები არას დროს არ იკადრებენ...

მაგრამ ყველა ეს წვრილმანებია და მერცბახერის თხზულების საფუძვლიანობას ვერას დააკლებს. უადგილობისა გამო შეუძლებელია გარდავსცეთ მკითხველს, თუნდაც მოკლედ, რაც მერცბახერის ორს უშველებელს ტომშია მოთავსებული.

როგორც ვსთქვით, ჩვენი მოგზაური 1891 წ. წამოსულა მიუნხენიდგან, გამოუვლია ოდესაში, სოხუმში, ფოთში, საცა ბაყაყების მუსიკას ძალიან შეუწუხებია, ბათუმში და აქედგან ქუთაისში. აქ თარჯიმანათ ბ-ნი კონსტ. მაჭრაძე დაუჭერია და სვანეთში გამგზავრებულა, საცა რამდენიმე მაღალი მთა დაუთვალიერებია; უშბაზედ ასვლასა ცდილა, მაგრამ ვერ ასულა. სვანეთიდგან მთის თათრებში გადასულა; აქ მას იალბუზისა და რამდენსამე სხვა მთის წვერზედ ასვლა მოუხერხებია, შემდეგ გამგზავრებულა კავკავში და აქედგან—ოსეთში; ასულა მყინვარზედა და სხვა მთებზედ, რის შემდეგაც ტფილისში გამომგზავრებულა. აქედგან იგი ჩინეთში წასულა, ხევსურეთი და ხევსურეთის მთები ჩინეთიდგან დაბრუნებულს მოუვლია (1892 წ.).

წიგნში მრავალი სურათებია ჩართული. მაგ. არის სურათი სამის ჩაქურად გამოწყობილის გურულისა, რომელთაგანაც ერთი სოფ. ლანჩხუთში მცხოვრები ბ-ნი კონდრატი ჟორდანია უნდა იყოს, ორის ქულაჯებში გამოწყობილის ქართველის, ორის ქართველი ქალისა: ერთი იმერელია და იმერულად ჩაცმული, ხოლო მეორე ქართლელი თუ კახელი და ქართულად ჩაცმული; პირველი მაინცა მაინც ლამაზი ვერაა, მეორე-კი ძალიან ლამაზი არის. კიდევ ბევრი სხვა სურათი მოიპოვება მერცბახერის წიგნში. გადაღებულია, მაგალითად, სურათი გელათის მონასტრის ბერებისა, სვანებისა, ხევსურებისა, სოფ. მულახში მასწავლებლათ მყოფის გაბრიელ ნიხორაძისა და მისი სტუმრებისა, თავად დადეშქელიანებისა, აფხაზებისა, ყაბარდოელებისა თათრებისა, მთებისა, ქალაქებისა, ეკკლესიებისა, გზებისა და მრავალი სხვანი. წიგნს კავკასიის მთების სამი დიდი რუკა აქვს დართული. ორივე ტომი მშვენიერს ქაღალდზედ დაბეჭდილი, ლამაზად დაკაზმული და ღირს 40 ფრანკი.

ფ. გ.

კრონშტადტი. როგორც ხმა დადის, დევეტი თავისს მომხრეთა მცირე რიცხვით რეიცის მახლობლად სამხრეთ-დასავლეთით თურმე იმყოფება.

პეკინი. პოლიციის სამსახური პეკინში ჩინელს მოხელეებს გადაეცა; ქალაქში სრული მშვიდობიანობაა. უცხოეთის ჯარები ერთს თვეზედ ადრე იქნებიან გაყვანილნი, დარჩებიან მხოლოდ საელჩოების დამცველი რაზმები. ბაჟების მომატების თაობაზედ მოლაპარაკებას ჯერ კიდევ განაგრძობენ.

ლონდონი. კიტჩენერი იუწყება პრეტორიიდგან, რომ ფუშეს უფროსობით ბურები მთელი დღე ებრძოდნენ ინგლისელ პატარა რაზმს, რომელსაც მაიორი მუხი უფროსობდა. მაგრამ ვერას გახდნენო. ინგლისელებს 7 კაცი მოუკლეს და 3 ოფიცერი და 17 ჯარის-კაცი დაუჭრეს; ბურებს რა ზარალი მოუვიდათ,—არ ვიცით. მართალია, არ უთხოვნიათ, მაგრამ მაინც ვარტი ალიეალნორტიდგან ინგლისელების მისაშველებლად წავიდა.

ნიჟნი ნოვგოროდი. შინაგან საქმეთა მინისტრი მოვიდა.

ლონდონი. კიტჩენერი იუწყება, რომ პრეზიდენტის შტეინის ბარგში ტრანსვაალის სტატს-სეკრეტარის რეიცის წერილი აღმოჩნდაო. რეიცი სწერს შტეინს, რომ ტრანსვაალის მთავრობას გენერლებს ბოტასა, ვილიოენ და სმუტსთან ერთად თათბირი ჰქონდა და განიხილა, რომ მრავალმა ბურმა მორჩილება გამოაცხადა, სამხედრო და საჭმელი სურსათი ელევათ, ტრანსვაალის მთავრობა ირღვევა, ევროპაში ომის ატეხის იმედი აღარაა, ამიტომ ტრანსვაალის მთავრობა ნებართვას თხოულობს, რომ პრეზიდენტ კრიუგერთან კაცი გაიგზავნოს იმ აზრით, რომ პრეზიდენტს ჩვენი ქვეყნის საშინელი მდგომარეობის ამბავი შეატყობინოს. თუ ეს თხოვნა შეწყნარებული არ იქნება, იმ შემთხვევაში რეიცი წინადადებას იძლევა, რომ დროებით შერიგება ვთხოვოთ ინგლისელებს, რათა ამ შერიგების დროს ორივე რესპუბლიკის აზრი გავიგოთო. პრეზიდენტს შტეინს 2 მაისს უპასუხნია სტატს-სეკრეტარის რეიცისათვის, რომ თქვენმა წერილმა მეტად დამღონაო. შტეინი აცხადებს, რომ უკიდურესობამდე საქმის მიყვანა არა მსურსო. მართალია, საომარი სურსათი მეტად ცოტა დარჩა, მაგრამ ცოტა ხომ მაინც გვაქვსო. „რომ უნდა დავიშალოთ, რომ ამას იქითაც ღვთის იმედი ვიქონიოთო?—ჰკითხულობს პრეზიდენტი. მტკიცედა ვარ დარწმუნებული, რომ რამდენისამე თვის განმავლობაში ევროპის სახელმწიფოებს შუა უთანხმოება ჩამოვარდება და ეს უთანხმოება ხელს შეგვიწყობს, რომ ჩვენს საწადელს მივაღწიოთ. ჩვენის დეპუტაციის ევროპაში ყოფნა გვიჩვენებს, რომ ჩვენი საქმე ჯერ კიდევ უიმედოდ არ ჩაითვლებაო". პრეზიდენტი სთხოვს რეიცსა, დამაცადეთ, სანამ დევეტს მოველაპარაკებიო.

კაპშტადტი. როგორც ისმის, ყველა ის ჯარები, რომლებიც კაპის ახალშენიდგან არიან, ისევ ამ ახალშენში დაბრუნდებიანო და მხოლოდ ადგილობრივის ოფიცრების უფროსობას ქვეშ იქმნებიანო. ეს ჯარები შემოსეულს ბურებს განდევნიან და აჯანყებულებს დაამშვიდებენო. რასაკვირველია, ესენი შეთანხმებით იმოქმედებენ იმ დანარჩენ ჯარებთან, რომლებიც ახალშენის გარეთ არიანო.

პეკინი. ელჩებმა ფორმალურად თანხმობა განაცხადეს, რომ ჩინეთმა საზღაური 4% ობლიგაციებით გადაიხადოს. აქამდე ამ საგანზედ მხოლოდ სიტყვიერად იყვნენ შეთანხმებულნი.

ლონდონი. „Times"-ს სწერენ პეკინიდგან: „მოლაპარაკება რუსეთის წინადადების შესახებ, რომ საზღვაო ბაჟებს 10% მოუმატონო,—წინ ვერ მიდის, რადგანაც ინგლისმა გამოაცხადა, თუ ოქმის მე-11 მუხლის თანახმად გაჭრობას შეღავათი არ მიეცემა, რუსეთის წინადადებას არ დავეთანხმებითო. დღეს სხდომაზედ ელჩებმა ხელ-ახლად განიხილეს ეს საქმე და რუსეთის წინადადება, ინგლისის ელჩის გარდა ყველა ელჩებმა მიიღეს. ელჩებმა დღეს, ამას გარდა, ჩინეთისაგან წარმოდგენილი საზღაურის გადახდის ახალი გეგმაც მიიღეს, რომლის თანახმად საზღაურის გარდახდა 1941 წელს უნდა დასრულდეს. ეს გეგმა დიდს ფინანსიურს მსხვერპლს მოითხოვს ჩინეთისაგან; ყოველს წლიწადს 42 მილიონი ტაელის მიცემა ტვირთად დააწვება; წინანდელი გეგმა-კი, რომელსაც ელჩები ემხრობოდნენ, შეღავათიანი იყო ჩინეთისათვის, რადგანაც საზღაურის გარდახდის ტვირთი რამდენისამე წლის შემდეგ უნდა თანდათან დაჭკლებოდა, ხოლო 1950 წელს-კი სულ უნდა გათავებულიყო. მაშასადამე, ჩინეთი მეტს ტვირთს კისრულობს, ოღონდ-კი მთელი ვალი ათის წლით ადრე გადაიხადოს.

ელჩებმა ინგლისისა, გერმანიისა და საფრანგეთისამ ამერიკის წარმომადგენლების მოხსენება მიიღეს, მხოლოდ ორი მცირე ცვლილება მოახდინეს. ნათქვამია მოხსენებაში, რომ შანხაის ახლო მდინარე უნდა გაფართოვებულ იქმნეს.

კიევი. შაქარს ფასი მოუმატა, ფუთზე 10 კაპ.

ცარიცინი. 7 ივლისს, გზათა მინისტრი თავადი ხილკოვი მოვიდა, ნავთსადგური დაათვალიერა და შემდეგ საგანგებო მატარებლით კალაჩში წავიდა, საიდგანაც გემით როსტოვში წავა.

ტაგანროგი. 7 ივლისს, ტაგანროგის ოლქში, მოკეევის რუსეთ-დონის საზოგადოების მადაროში გაზმა იფეთქა; ოთხი მუშა მოკვდა, 15 დაიწვა და მძიმედ დაშავდა.

ლონდონი. ლიბერალმა ასკიტმა ნადიმზედ წარმოთქმულს სიტყვაში განაცხადა: „სამხრეთს აფრიკას კანადის მზგავსად თვითმმართველობა უნდა მიეცეს. ლიბერალებმა იმპერიალიზმი უნდა შეითვისონ, რათა ლიბერალური დასი ერთგულ დასად იქცეს და ხალხს შეეძლოს თავისი ბედი ამ დასს ანდოს.

პეკინი. ელჩებს თათბირი აქვთ იმის შესახებ, თუ სადამოჟნო გარდასახადის გადიდება რამდენად შეიძლება, რომ ჩინეთს სამხედრო საზღაურის სარგებლის გადახდა შეეძლოს. ამბობენ, თუ ჩინეთი შესაფერს სავაჭრო შეღავათს არ მისცემს სახელმწიფოებს, უამისოდ ბაჟების ძლიერ მომატება შეუძლებელიაო.

8 ივლისი.

პეტერბურგი. დიდი მთავრის მეუღლე ელისაბედ მავრიკის ასული საზღვარ-გარეთიდგან დაბრუნდა.

„Русскій Инвалидъ"-ში დაბეჭდილია უმთავრესი მუხლები საიუნკრო სასწავლებელთა ახალის დებულებისა. ხსენებულს სასწავლებში მიიღებიან როგორც თავისს ნებით სამხედრო სამსახურში შესულნი და ჯარის-კაცებად წაყვანილნი, ისე ის ახალგაზრდანიც, რომელნიც სამხედრო სამსახურში არ არიან; ამათ ნება აქვთ ეგზამენების დაჭერა სწორედ იმ სასწავლებელში ითხოვონ, რომელშიაც სწავლას აპირებენ. თხოვნა მიიღება პირველ ივლისამდე, მაგრამ რადგანაც ახალი დებულება მხოლოდ ეხლა-ხან გამოცხადდა და მსურველთ არ შეეძლოთ დროით შეეტანათ თხოვნები, ამიტომ წელს, უმაღლესის ნება-რთვით, თხოვნებს პირველ აგვისტომდე მიიღებენ.

14 ივლისს ხელმწიფე იმპერატორი კრასნოე სელოში ჯარების ბანაკს დაათვალიერებს.

ხარკოვი. ლებედინისა და სუმის მაზრებში რამდენისამე ათას დესეტინის სივრცეზედ ჭარხალს აუარებელი ჭია დასხია; ჭია იმდენია, რომ გაწყვეტა შეუძლებელია.

ცეტინიე. დაბეჯითებით უარყოფენ უცხოელ გაზეთების მიერ გავრცელებულს ხმებს, ვითომ ჩერნოგორიის მთავარი ნიკოლოოზი საზღვარ-გარეთ მიდიოდეს, მთავრინა ქსენია ინიშნებოდეს და ჩერნოგორიაში იტალიის მეფე აპირებდეს მობრძანებასა და მთავარ მირკოს ცოლს რთავდნენ.

ბელგრადი. ოფიციალურად იტყობინებიან, რომ კოლაშინი სრულიად მიუტოვებია მცხოვრებლებს; უმწეო მკვიდრნი მთებში გახიზნულან. ალბანელები მიტროვიცსა და მისს მიდამოებში ვიღაც ისსა ბოლეტინეცის წინამძღოლობით თავს დაესხნენ სერბებს. მრავალი სერბი დაჭრილია.

კელნი. „კელნის გაზეთი" იტყობინება, რომ ჩინელთა წინადადება სასახლეში ელჩთა მისაღებ ცერემონიის შესახებ უცხოელ ელჩების გუშინდელ კრებისაგან მოწონებულ იქმნაო; შეთანხმდნენ აგრეთვე შანხაისთან მდინარის გაფართოვების თაობაზედ. საზღვაო ბაჟის რაოდენობა 4% დაინიშნა, რაც საკმაოდ იქმნა ცნობილი. ერთმა სახელმწიფომ წინადადება წარმოადგინა, რომლის წინააღმდეგიც ინგლისი გახდა; ამ წინადადებით, თუ საჭიროება მოითხოვს, საზღვაო ბაჟის 4% უნდა $7^{1}/_{2}$%-მდე აწეულიყო. იმედი აქვთ, რომ შეწყნარებულ იქმნება მესამე წინადადება, რომელიც ამ ორს ერთმანეთის წინააღმდეგს წინადადებას ერთმანეთში მოარიგებს. ჩინეთში იარაღის შემოტანის აღკრძალვის შესახებ შეთანხმება ადვილად მოხერხდება. მორიგების საქმემ თვალსაჩინოდ წაიწია წინ.

ვენა. გექსჰოლმის გრენადერთა პოლკის უფროსის მილოცვის დეპეშაზედ ამ პოლკის შეფმა იმპერატორმა ფრანც-იოსებმა უპასუხა: „გულითადს მადლობას გიძღვნით პოლკის ას ოთხმოცის წლის არსებობის მილოცვისათვის. გთხოვთ თქვენ, გენერალო, და მთელო რაზმო, —მიიღოთ ჩემგანაც გულწრფელი მილოცვა. ფრანც-იოსები".

სოფია. აქაურმა სამოქალაქო სასამართლომ სარაფოვისა და სტოიანოვის წინააღმდეგ საქმე აღძრა, რომელთაც ფიტოფსკის მოკვლაში მონაწილეობის მიღება ბრალდებათ, და აგრეთვე კოვანჯევისა და ტრობევის წინააღმდეგ, რომელთაც მიხაელიანუს მოკვლაში მონაწილეობის მიღება ბრალდებათ. ბრალდებულნი მაკედონელთა კომიტეტის წევრები იყვნენ. ამ საქმეს ალბად აგვისტოში განიხილავს ნაფიც-მსაჯულთა საგანგებო სასამართლო.

ოლდენბურგი. დღეს დიდით ოლდენბურგის დიდს ჰერცოგინას ქალი შეეძინა.

9 ივლისი

პეტერბურგი. აკადემიკოსი მ. ი. სუხომლინოვი 8 ივლისს გარდაიცვალა.

ხარკოვი. ოფიციალურის საბუთებით, გაკოტრებულს ბანკს $11^{1}/_{2}$ მილიონი ვალი დაჰრჩენია; ბანკის ქონება $13^{1}/_{2}$ მილიონს შეადგენს; განაღდების დროს ორივე თანხა უნდა შეიცვალოს: პირველი 7 მილიონამდე შემცირდეს, რადგანაც არის ისეთი ვალიც, რომელიც სარგებლიან ქაღალდებით არის უზრუნველ-ყოფილი, ხოლო მეორე 4.700,000-მდე. ბანკის ზარალს, სამუდამოდ დაკარგულის ძირითად და სათადარიგო თანხისა გარდა, შეადგენს სულ 2.700,000 მანეთი.

კოვნო. ნოვოალექსანდროვსკის მაზრიდგან იუწყებიან, რომ იქ ცეცხლი გაჩენილა და დაბა სოლოკი გადამწვარა; სულ დამწვარა 260 შენობა.

კიევი. ივნისის დამლევსა და ივლისის დასაწყისში, კიევის გუბერნიაში გაჩენილს ჭიას პლანტაციების 20% დიდად დაუზიანებია; ზარალი დიდი და გამოუბრუნებელია, რადგანაც ახლა მეორედ დათესვა შეუძლებელი-ღაა.

კიევი. სამხრეთ-დასავლეთის მხარეში პურის ბაზარი კარგი ვერ არის; მომავალს მოსავალს, უფრო-კი პურისას, ფასი უთუოდ მოემატება.

სოფია. ნახევრად ოფიციალური გაზეთი „ბოლგარია" აცხადებს, რომ ივლისის კუპონის გამოსასყიდად ბოლგარიის მთავრობას სესხი რუსეთის სახელმწიფო ბანკმა-კი არა, რუსეთის მთავრობამ მისცაო.

ხაბაროვსკი. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის პორტ-არტურის ლიანდაგი 5 ივლისს იქმნა დამთავრებული.

პრეტორია. გუშინ, ნაშუადღევს, პრეზიდენტის კრიუგერის მეუღლე სულ სამის დღის ავადმყოფობისა შემდეგ ფილტვების ანთებით გარდაიცვალა.

ნეაპოლი. კრისპი ხელ-ახლად გულის სისუსტით გახდა ავად; დღეს თავს უკეთესად ჰგრძნობს, მაინც საშიშს მდგომარეობაშია; მკურნალები სრულს სიმშვიდეს ურჩევენ.

განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

აცხადებს, რომ ბანკის წესდების მე-20 §-ის თანახმად, ამა წლის 12 ივლისს, ქ. ტფილისში, ფრეილინის ქუჩაზედ, ბანკის სადგომში, შუადღის 12 საათზედ, მოხდება ხელმეორე და უკანასკნელი საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც გაიყიდება ქვემოდ ჩამოთვლილი მამულები, რომლებიც არ გაიყიდა 21, 23, 25 და 27 ივნისს მომხდარ საჯარო ვაჭრობაზედ:

გორობეგოვისა მარიამ იაკობის ასული (საჯარო ვაჭრობით შეძენილი გრიგოლ დავითის ძის ტერ-ნიკოღოსოვის მიერ): შენობანი და მიწა, ზომით 169 ოთხ-კუთხი საჟ. დიდუბეში, დიდუბის უმთავრეს ქუჩის მახლობლად.

თავნი ვალი 20,271 მან. 85 კაპ., შემოსატანი გადასახადი 702 მან. 17 კაპ., სულ 20,974 მან. 02 კაპ.

საყვარელიძე, ალექსანდრე სოლომონის ძე: შენობანი და მიწა, ზომით: საბუთის ქაღალდებით 120 ოთხ-კუთხი საჟ., ხოლო დამფასებელთა ოქმით 92 ოთხ-კუთხი საჟ., ტფილისში, მე-8 ნაწილში, ჩუღურეთის ქუჩაზედ.

თავნი ვალი 12,997 მან. 52 კაპ., შემოს. გადასახადი 477 მან. 69 კაპ., სულ 13,475 მან. 21 კაპ.

ხითაროვი ხეჩო კირაკოზის ძე: შენობანი და მიწა, ზომით: საბუთის ქაღალდებით 100 ოთხ-კუთხი საჟ., ხოლო დამფასებელთა ოქმით 103,89 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის 1 ნაწილში, მატინოვის ქუჩაზედ.

თავნი ვალი 14,254 მან. 20 კ., შემოს. გარდ. 648 მან. 56 კ., სულ 14,902 მან. 76 კაპ.

ხითაროვი ხეჩო კირაკოზის ძე: ორ-სართულიანი შენობა და მიწა, ზომით 105 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის 1 ნაწილში, წყნეთის ქუჩის ზემოდ.

თავნი ვალი 13,555 მან. 67 კ., შემოს. გადასახადი 517 მან. 18 კაპ., სულ 14,072 მან. 85 კაპ.

ბეგთაბეგოვი დავით ავთანდილის ძე: შენობა და მიწა, ზომით 104,5 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. გორში მტკვრის ქუჩაზედ.

თავნი ვალი 2640 მან. 84 კაპ., შემოს. გადასახადი 333 მან. 49 კაპ., სულ 2974 მან. 33 კაპ.

გამრეკელოვი გრიგოლ გიორგის ძე: ორ-სართულიანი სახლი და მიწა, ზომით 340 ოთხ-კუთხი საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება ქ. ქუთაისში, ტფილისის ქუჩაზედ.

თავნი ვალი 13,546 მან., 49 კ., შემოს. გარდასახადი 551 მან. 79 კაპ., სულ 14,093 მან. 28 კაპ.

ჯამბარაშვილისა ქალია ვასილის ასული (საჯარო ვაჭრობით შეძენილი გრიგოლ ბაქიმის ძის ტერ-ყაზაროვის მიერ): ერთ-სართულიანი ხის სახლი ქვის საძირკველზედ და ერთ-სართულიანი ხის შენობა, მიწა ზომით 130 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ფოთში, ზღვისა და ლევაშევის ქუჩებზედ.

თავნი ვალი 902 მან. 66 კაპ., შემოს. გარდ. 183 მან. 25 კაპ., სულ 1085 მან. 33 კაპ.

ხალათოვი კრიკორ არუთინის ძე: სახლი და მიწა, ზომით: გირავნობის მოწმობით 125 ოთხ-კუთხი საჟ., ხოლო დამფასებელთა ოქმით 212 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. განჯაში, ნორაშენში.

თავნი ვალი 2125 მან. 25 კაპ., შემოს. გარდ. 106 მან. 41 კაპ., სულ 2231 მან. 66 კაპ.

ჭუჭუნაძე გიორგი მელქისედეკის ძე: სახნავი ადგილები და ტყე, ზომით 971 დესიატინა 1250 ოთხ-კუთხი საჟ. თელავის მაზრაში, ყვარელის მგარაკში.

თავნი ვალი 14,148 მან. 75 კაპ., შემოსატანი გარდასახადი 436 მან., 68 კაპ., სულ 14585 მან. 43 კაპ.

ბოლაშვილი ტატო გლახას ძე (საჯარო ვაჭრობით შეძენილი მარიამ საველის ასულის ხანჯალაძის მიერ): სახნავი ადგილები და ვენახი, ზომით 4 დეს. 1800 ოთხ-კუთხი საჟ. გორის მაზრის სოფელ დიცში.

თავნი ვალი 500 მან., შემოს. გადასახადი 31 მან. 40 კაპ., სულ 531 მან. 40 კაპ.. (1—6—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9-го Iюня 1901 г.
სტამბა ქ. ივ. ხელაძისა დაროს-მელიქოვის ქ., № 28.
რედაქტორ-გამომცემელი, ილია ჭავჭავაძე